

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585  
1977/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უელენი ს ა ზ ჭ ო ს უ რ ე ე ზ ე ე ი

№ 9 (440)

1977 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უელენი საბჭოს გამოსემა

თბილისი



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის <sup>კავშირული</sup> ~~საბჭოთა~~ <sup>საბჭოთა</sup> ~~საბჭოთა~~



უმაღლესი საბჭოს  
უწყებები

№ 9 (440)

საქვამბერი

1977 წელი

შ ი ნ ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

- 131. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ.

ბანყოფილება მეორე

- 132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
- 135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. ბ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ზ. ა. კარგარეთელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 137. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ო. ა. ომიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 138. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. გ. გ. ტაღაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 139. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ა. ი. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25640

კ. მარქსის სსრ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
საბჭოთა



140. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ლენინგრადის მ. გორკის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
141. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ლენინგრადის მ. გორკის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
142. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. შ. ზაუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
143. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. შ. ზაუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
144. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. შ. ფუფინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
145. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV შთავარი სამმართველოს სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

**განყოფილება მესამე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში,  
საინფორმაციო ცნობები.

## განყოფილება პირველი

გრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**131 რესპუბლიკური სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის  
საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი ენთუზიაზმით და კმაყოფილების გრძნობით შეხედნენ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტს. უკვე პირველ დღეებში, მისი პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, ხალხმრავალ მიტინგებზე, რომლებმაც დასაბამი მისცეს პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას, საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, პლენუმზე ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენების დებულებები და დასკვნები, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი და მხარი დაუჭირეს მათ; ისინი გამსჭვალულია კომუნისტების იდეების გამარჯვების ღრმა რწმენით, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე, ჩვენი სამშობლოს შემდგომ ყოველმხრივ აყვავებაზე, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე ზრუნვით.

დიდი მოწონებით შეხვდა მშრომელი საქართველო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის შედეგებს, ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევას. რესპუბლიკის მშრომელებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მაღალი პოსტების შეთავსება მთლიანად პასუხობს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის, ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენების დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივმა საბჭომ და მათმა აღმასკომმა რესპუბლიკის პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გაშალეს დიდი, მიზანდასახული ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განმარტებისა და მისი ფართო, თავისუფალი და ნამდვილად საქმიანი განხილვისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის



მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებები და არის საბჭოთა ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის, რესპუბლიკის ყველა შრომითი კოლექტივის ყურადღების ცენტრში.

ქვემოთაა აღწერილი პოლიტიკური აღმავლობისა და აქტიურობის ვითარებაში ჩატარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების სესიებზე, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ყველა 1.104 ადგილობრივი საბჭოს პირველ სესიებზე. სესიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50 ათასამდე ხალხის რჩეულმა, კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა 7.124 დეპუტატი, რომლებმაც შეიტანეს 8.614 სხვადასხვა წინადადება.

ვათვალისწინებულ იქნა რა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ყველა საფეხურის საბჭოების სესიების მომზადებასა და მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ დონეზე ჩატარებას დაეთმო დიდი ყურადღება. მათ, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას, მიეცა დიდი სოციალურ-პოლიტიკური უღრადობა. საბჭოების სესიებმა იხელმძღვანელეს რა სკკპ ცკ მაისის პლენუმის მითითებებით იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვაში ჩაბმულ უნდა იქნენ მშრომელი მასები, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები და ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი საქმიანობის ჩვენი არსებული ფორმები, დეტალურად განიხილეს და მიიღეს ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მთავარ საორგანიზაციო და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის რესპუბლიკის საბჭოების სესიებზე განხილვის განმსაზღვრელი შედეგი იყო ის, რომ დეპუტატებმა, რომლებიც გამოხატავდნენ თავიანთი ამომრჩეველების გრძნობებსა და ნებას, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მთლიანად მოიწონეს ახალი ძირითადი კანონის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებები, სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკა. სესიებზე მოხსენებებში, დეპუტატების გამოსვლებში და მიღებულ გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი შეფასებულია როგორც მომწიფებული სოციალიზმის ეპოქის უდიდესი დოკუმენტი, რომელშიც ღრმად არის ასახული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის ისტორიული მონაპოვარი, განზოგადებულია სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილება და გამოცხადებულია ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები მომავალი ათწლეულებისათვის.

ფართო, ყოვლისმომცველი გაქანება მიიღო რესპუბლიკაში კონსტიტუციის პროექტის ყოველმხრივმა განხილვამ საწარმოების, ორგანიზაციების და

დაწესებულებების შრომითი კოლექტივების კრებებზე, საერთო კრებებზე, ქალაქთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სოფლის ყრილობებზე, დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების სხდომებზე.

ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც შემდეგი მონაცემები:

რესპუბლიკაში აწლის 23 სექტემბრისათვის ჩატარდა 21.274 კრება, რომელიც მიეძღვნა კონსტიტუციის პროექტის განხილვას, კრებებში მონაწილეობა მიიღო 1.827.816 კაცმა, სიტყვით გამოვიდა 127.516 მონაწილე, რომლებმაც კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით შეიტანეს 143.414 წინადადება და შენიშვნა. გაშლილ კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მუშაობა იყო მიმართული კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მშრომელთა აქტიურ მონაწილეობაზე, იმ მნიშვნელოვანის მხარდაჭერაზე, რასაც ოქტომბრის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის დროს წარმოშობს მასების ინიციატივა და შემოქმედება.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელევიზია სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტის განხილვის ნამდვილ ტრიბუნად იქცნენ. ისინი სისტემატურად აქვეყნებდნენ და გადასცემდნენ მშრომელთა გამოხმაურებას, მათ წინადადებებსა და შენიშვნებს პროექტის ტექსტის თაობაზე, ატარებდნენ დიდ განმარტებით მუშაობას (თავიანთ ფურცლებსა და დროს უთმობდნენ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, მეცნიერების გაოსვლებს). საკმარისია აღინიშნოს, რომ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დაწყებიდან აწლის 23 სექტემბრისათვის რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული და აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული იყო 10 ათასზე მეტი სხვადასხვა მასალა. ეს მასალები შეიცავს 50.500-მდე კონკრეტულ წინადადებასა და შენიშვნას სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ტექსტის თაობაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აშ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პეექსეს სესიის მასალების გულმოდგინედ შესწავლისა და ყოველმხრივი განხილვის მიზნით რესპუბლიკაში აქტიურად გამოიყენებოდა ორგანიზებული, კოლექტიური სწავლების არსებული ფორმები. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეთმობოდა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემას, მოკლევადიან სკოლებს, საბჭოთა მშენებლობის სემინარებსა და სკოლებს.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში მოწყობილი იყო საკონსულტაციო პუნქტები, სადაც პროპაგანდისტებს, ლექტორებს, პოლიტიკურმატორებს, აგიტატორებს და ყოველ მოქალაქეს შეეძლო ახსნა-განმარტების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი კანონის პროექტთან.



საღეჭციო პროპაგანდა პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლიანად მომავალ კონსტიტუციას, გაშალეს რესპუბლიკურმა საზოგადოებრივმა და მისმა ადგილობრივმა განყოფილებებმა. ადგილებზე, უშუალოდ შრომით კოლექტივებში, იგზავნებოდნენ ლექტორები და მომხსენებლები, პროპაგანდისტული და სააგიტაციო ჯგუფები. მიღებული იყო ზომები ლექციების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, მათი მიწოდების ფორმების სრულყოფისათვის.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ არ შეუწყვეტიათ მუშაობა აგიტაქტებს და ამომრჩეველთა კლუბებს, რომლებიც იქცნენ კონსტიტუციის პროექტის პროპაგანდის ცენტრად მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პროექტის პროპაგანდისა და ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში ეფექტიანად გამოიყენებოდა კუტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, სადაც სისტემატურად ეწყობოდა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, კინოლექტორიუმები, ზეპირი ჟურნალები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის პროცესში, რომელიც მტკიცედ შევიდა ყოველი შრომითი კოლექტივის, რესპუბლიკის ყოველი მშრომელის ცხოვრებაში. ნათლად გამოიკვეთა სკკ მზარდი როლი კომუნისტურ მშენებლობაში, საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს არსი. მისი ნამდვილი დემოკრატიზმი, ცხოვრების საბჭოური წესის უპირატესობა, ფართოდ აისახა საბჭოთა ხალხის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სახალხო განათლების აღმავლობა საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე. დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებათა პროპაგანდას.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ზემოაღნიშნულ დიდს თავისი მასშტაბებით და განსაკუთრებულად სერიოზულ მუშაობას, რომელიც მიმდინარეობდა რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვასა და პროპაგანდასთან დაკავშირებით, იყო ის, რომ ამ საქმეში ტონს აძლევდნენ საბჭოების დეპუტატები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული მუშაკები, უშუალო მონაწილეობასღებულობდნენ მეცნიერები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა და პროპაგანდისტული აქტივი.

რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის ყველა მონაწილე ადევნებით და ენთუზიაზმით ლაპარაკობდა და წერდა საბჭოთა ხალხის დიად ისტორიულ მონაპოვართა შესახებ, რომლებიც ნათლად და დამაჯერებლად არის ასახული პროექტში, იმის შესახებ, რომ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გრანდიოზული მასშტაბები და სიღრმე, სოციალისტური ცხოვრების წესის ყოველმხრივი აყვავება იწვევენ მათში კანონიერი მოქალაქეობრივი სიამაყის გრძნობას. საქართველონ მშრომელები ერთსულყოფ-

ნად მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის გადაწყვეტილებებს, მადლობას უხდებიან პარტიას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევეს ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულად განხორციელებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

საბჭოთა ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის განხილვა მიმდინარეობდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, რესპუბლიკის ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალების შაქსიმალური მობილიზაციის ნიშნით სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესასრულებლად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. მრავალმა შრომითმა კოლექტივმა მჭიდროდ დაუკავშირა პროექტის განხილვა მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას და აიღო ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები შრომის ნაყოფიერების შემდგომი გაზრდისათვის, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით დასძლია მიმდინარე წლის რვა თვის საგეგმო დავალებები და აღებული სოციალისტური ვალდებულებები. არანაკლები წარმატებები აქვთ სოფლის მეურნეობის მშრომელებსაც.

განხილვის მონაწილეთა ყველა გამოსვლებაში, შრომითი კოლექტივების კრებებზე ან მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საერთო კრებებზე, სოფლის ყრილობებზე ან დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრებზე, წინადადებებში, რომლებიც შემოდიოდა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით, პროექტი შეფასებულია როგორც ეპოქალური დოკუმენტი, კომუნისტური მშენებელი განვითარებული, ჭეშმარიტად დემოკრატიული სოციალისტური სახელმწიფოს ქარტია. მოწონებულია მთლიანად, მხარდაჭერილია ყველა მისი ძირითადი დებულება. ხალხი ყველგან ამკლავნებდა მაღალ სოციალურ აქტივობას და ღრმა დაინტერესებას, აცხადებდა, რომ კონსტიტუციის პროექტის ყოველი სტიქიონი ემსახურება მშრომელთა ინტერესებს.

კონსტიტუციის პროექტის განხილვისას დიდ ყურადღებას იმსახურებდა დებულებები ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის საფუძვლების შესახებ, აღინიშნებოდა სკკპ ხელმძღვანელი და წარმართველი როლის განმტკიცების დიდი მნიშვნელობა, აგრეთვე აღინიშნებოდა პროექტში საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების, საბჭოთა საზოგადოების თანამიმდევრული ჰუმანიზმის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების, საბჭოების, პროფკავშირის, კომკავშირის, კოოპერაციის ავტორიტეტის ამაღლების, მათი როლისა და აქტივობის გაზრდის თაობაზე დებულებათა შეტანის შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ეხებოდნენ ძირითადი კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მონაწილენი, არის მიწისადმი, მისი წილისადმი, წყლის, ტყის, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება. აქტიურად განიხილავდნენ პრობლემებს,





რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა მოქალაქეების უფლებებთან და მოვალეობებთან, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე მათ პასუხისმგებლობასთან.

კმაყოფილების გრძნობით იქნა მიღებული კონსტიტუციაში ადამიანისათვის ისეთი ცხოვრებისეული მნიშვნელობის ჰქონე უფლების განმტკიცება, როგორცია ბინის უფლება. ამასთან ერთად გამოითქვა სურვილი აღნიშნულ იქნეს მოქალაქეთა მოვალეობა — მზრუნველობით მოეკიდონ საბინაო ფონდს როგორც საერთო სახალხო საკუთრებას, სრულყოფილ იქნეს საბინაო კანონმდებლობა ბინების არასწორი განაწილების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით.


მრავალი წინადადება შემოვიდა მშობლის მოვალეობის შესრულების, ბავშვების აღზრდისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ, აგრეთვე ქალი — დედის, ქალი — მშრომელისადმი უფრო ყურადღებიანი დამოკიდებულების, ქალის შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მრავალრიცხოვან გამოსვლებში და წინადადებებში ხაზგასმული იყო, რომ მშრომლები, მათი კოლექტივები პასუხს უნდა აგებდნენ აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის. შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის. ლაპარაკი იყო ყოველი მუშაკის კოლექტივის საქმეებში, წარმოების მართვაში კონკრეტული მონაწილეობის შესახებ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით მეცნიერების წარმოებასთან კავშირის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

განხილვის მონაწილეთა გამოსვლებში და მათ კორესპონდენციებში იყო ბევრი წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, რომლებიც თუმცა უშუალოდ არ ეხებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ნორმებს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ ნაკლოვანებათა და დაუდევრობათა გამოვლინებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც შეინიშნება საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშაობაში, აგრეთვე მოქალაქეთა შრომის, ყოფის და დასვენების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან, აგრეთვე ბიუროკრატიზმისა და ფორმალისმის ფაქტებთან ბრძოლისათვის.

სამინისტროებიდან, უწყებებიდან, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიდან შემოსული შეტყობინებები მეტყველებენ იმაზე, რომ ყველა ეს წინადადება და კრიტიკული შენიშვნა გულმოდგინედ არის შესწავლილი, განზოგადებული და მიღებულია საჭირო ზომები.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლოვანებას. ზოგჯერ კრებები ნაჩქარევად იყო მომზადებული და მოწვეული. ისინი მთელ რიგ შემთხვევებში ტარდებოდა დაუშვებელი პარადულაობის ვითარებაში, არასათანადო სიღრმითა და საქმიანობით, მოქალაქეთა არასაკმარის და აქტიურობის



ვითარებაში. კონსტიტუციის პროექტის განმარტება და განხილვა ზოგადი იყო დაკავშირებული წარმოების განვითარების საჭირობოტო ამოცანებთან, არ იყო მიმართული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ოპერატიული გამოსწორებისაკენ, ყოველი მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ. მოსახლეობას შორის პროექტის პროპაგანდასთან და განმარტებასთან დაკავშირებული მუშაობის სხვადასხვა ფორმები სუსტად იყო ერთმანეთთან შეთავსებული. ყველგან არ ითვალისწინებდნენ აუდიტორიის მოთხოვნებს და თავისებურებებს, სრულად არ იყენებდნენ ამ მიზნით თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:


1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების ინფორმაცია რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— მიიღონ საჭირო ზომები სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის მიმდინარეობის დროს სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, შრომის პირობების გაუმჯობესების, საბჭოთა ხალხის ყოფისა და დასვენების, სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე შემოტანილი წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის; დააწესონ მკაცრი კონტროლი ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი, გააძლიერონ ბრძოლა ბიუროკრატიზმის, გაკვიანურების, ფორმალიზმის, სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის;

— უზრუნველყონ ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონე, ამასთან, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ იგი საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების სრულყოფას და განვითარებას, დავალებული საქმისადმი ყოველი მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების საჭირობოტო ამოცანებს;

— დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ორგანიზაციული და პროპაგანდისტული ღონისძიებები სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტის გულმოდგინე, ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის ორგანიზაციისათვის მისი პრესაში გამოქვეყნების შემდეგ;



— ფართოდ გამოიყენონ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მომავალი საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს რესპუბლიკის პრეზიუმის რის ძირითადი კანონის პროექტის განმარტებისა და საყოველთაო-სახალხო განხილვის ჩატარების მიღებული გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 სექტემბერი.

**ბანუოფილება მიორე**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**132 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

წყალწაღებულის გადარჩენისა გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მილიციის სერჟანტი ვაჟა იოსების ძე ქარაული (სიკვდილშემდგომ) დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**133 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“:

- პაველ არკადის ძე ავაქოვი — შიდასამსახურის პოდპოლკოვნიკი.
- ნევერო ვასილის ძე ცენტერაძე — შიდასამსახურის მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 29 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

# 134

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:

ემა მკრტიჩის ასულ **ანისონიანს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის პოლიკლინიკის ექიმ-ოქულისტს.

თენგიზ კონსტანტინეს ძე **ბეგიშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის პირველ მოადგილეს.

ვიქტორ ალექსანდრეს ძე **ბორისოვს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-სამედიცინო განყოფილების უფროსს.

გრიგოლ ნიკიფორეს ძე **გვანცელაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „საქართველოს“ მთავარ ექიმს.

იოსებ ლევის ძე **ვერნიკს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მედიცინის სამსახურის უფროსს.

სერგო სიმონის ძე **ისრაელიანს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საგარნიზონო პოლიკლინიკის უფროსს.

ამირან გიორგის ძე **კავკახიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

ბორის იაკობის ძე **კელმანს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთავარ სტომატოლოგს.

ევგენია გრიგოლის ასულ **ლომაშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს.

ჯიმშერ ალექსანდრეს ძე **მემმარიაშვილს** — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის ანესთეზიოლოგიური განყოფილების უფროსს, ქ. თბილისი.

ნინო იაკობის ასულ **მოსიაშვილს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-ლარინგოლოგს.

ნიკოლოზ გიორგის ძე **ოტვერჩენკოს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთავარ თერაპევტს.

ლუდმილა ვარდენის ასულ **პაიჭაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის



დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს პოლიკლინიკის ექიმ-დისპანსერიზატორს.

ალექსი ივანეს ძე **როდიონოვს** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთავარ უროლოგს.

ვალენტინა ნიკოლოზის ასულ **სმისლინას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „თბილისის“ ექიმს.

ბორის ვლადიმერის ძე **ტროიანოვსკის** — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მთავარ რადიოლოგს.

ბორის იოსების ძე **ტუროვსკის** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის მასწავლებელს.

გიორგი შალვას ძე **ჩხეიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „წყალტუბოს“ მთავარ ექიმს.

ნოდარ ბიძინას ძე **შარაშენიძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს № 2 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

#### საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის:

რაუფ-აფრიკან ტარხუნის ძე **ბასარას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 135 ამხ. ბ. ბ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. გივი ბიძინას ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 136 ამხ. ზ. ა. კარგარეთელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ზურაბ არჩილის ძე კარგარეთელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 137 ამხ. ო. ა. ოშიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე ოშიაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 138 ამხ. გ. გ. ტალახაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ



მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. გოდერძი გიორგის ძე ტაყაიძემ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**139** ამხ. ა. ი. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პოეტი ალექსანდრე ილარიონის ძე შანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 20 სექტემბერი.


ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**140** ლენინგრადის მ. გორკის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1977 წლის სექტემბერში ქალაქ თბილისში გასტროლებს წარმატებით ჩატარებისათვის ლენინგრადის მ. გორკის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 სექტემბერი.



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**141** ლენინგრადის მ. გორაკის სახელობის შრომის წითელი დრო-  
შის ორდენოსანი აკადემიური დიდი დრამატული თეატრის  
მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპა-  
ტიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1977 წლის სექტემბერში ქალაქ თბილისში ლენინგრადის მ. გორაკის სახე-  
ლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი აკადემიური დიდი დრამატული  
თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს სსრ  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

- ოლეგ ვალერიანის ძე ბასილაშვილი — მსახიობი.
- ოლეგ ივანეს ძე ბორისოვი — მსახიობი.
- ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ვაკულენკო — დირექტორი.
- სერგი იურის ძე იურსკი — მსახიობი.
- ვალენტინა პავლეს ასული კოველი — მსახიობი.
- ელუარდ სტეფანეს ძე კოჩერგინი — მთავარი მხატვარი.
- ესეველოდ ანატოლის ძე კუზნეცოვი — მსახიობი.
- კირილე იურის ძე ლავროვი — მსახიობი.
- ევგენი ალექსის ძე ლებედევი — მსახიობი.
- ვლადისლავ ეგნატეს ძე სტრუფლიჩი — მსახიობი.
- გიორგი ალექსანდრეს ძე ტოვსტონოგოვი — მთავარი რეჟისორი.
- დინა მორისის ასული შვარცი — ლიტერატურული ნაწილის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშაბარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**142** ანხ. გ. ი. ზაუტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და  
ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით,  
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შევენახეობისა და





მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი ა. მ. ჯილაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჯილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 143 ახ. მ. ჯ. კოზაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ვლადიმერ დიმიტრის ძე კოზაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჯილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

ბრძანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 144 ახ. მ. ი. ფუფინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გულის ქირურგიის განყოფილების გამგე, პროფესორი ვლადიმერ ივანეს ძე ფუფინი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ჯილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

**145** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და წაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოვდნენ:

იზოლდა კონსტანტინეს ასული ბარათაშვილი — IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „ბორჯომი-ლიკანის“ პირადი შემადგენლობის აღრიცხვის გამგე.

ანა ისლამის ასული ბოგდანოვა — IV მთავარი სამმართველოს № 1 ავთიაქის რეცეპტორ-კონტროლიორი.

ელზა სოლომონის ასული ღამბაროვა — IV მთავარი სამმართველოს № 2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე,

თაპარ ანტონის ასული გზირიშვილი — IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმი-უროლოგი.

ლუღვივ ვლადიმერის ძე გორნოვსკი — IV მთავარი სამმართველოს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი.

მარიამ ისაკის ასული თანდილოვა — IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „თბილისის“ პალატის ექთანნი.

ნონა ზოსიმეს ასული ნემსიწვერიძე — IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მორიგე ექიმი.

ვერა შიხეილის ასული ჭირაქაძე — IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „წყალტუბოს“ დიასახლისი.

შალვა გიორგის ძე ხაბეიშვილი — IV მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „საქართველოს“ მებაღე-დეკორატორი.

ალექსანდრე გიორგის ძე ხოშტარია — IV მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 სექტემბერი.

მ. შარტის სსრ საქ. სსრ  
სახელმწიფო სტატისტიკა

განყოფილება მისამე



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი კასპის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ კასპის რაიონში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, წარმატებით სრულდება სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. დიდი აღმავლობით ჩატარდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი კრებები. მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი, შეიტანეს თავიანთი წინადადებები და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

რიალმასკომმა უკანასკნელ პერიოდში გააუმჯობესა მშრომელთა წერილებზე მუშაობა, პერიოდულად სწავლობს წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას და სახავს სათანადო ღონისძიებებს. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებები დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ არასაკმარისია და სრულად ვერ პასუხობს მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილის დადგენილების და „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების მითითებათა შესაბამისად უზრუნველყოს, რომ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში განუხრელად შეასრულონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“, რისთვისაც:

რეგულარულად შეისწავლოს და რაისაბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე მოიხმინოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა. დასახოს და განაზოტყელოს ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად და მოქალაქეთა უფლებების დასაცავად;

აპალოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივ-

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
 1977 წლის 29 სექტემბერი



რების განხილვის წესის ზუსტად დაცვისადმი. მკაცრად მოსთხოვოს პასუხისმგებელი კანონით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომები გამოიყენოს იმ მდგომარეობებში, რომლებიც სათანადო გულისხმიერებას არ იჩენენ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტისადმი;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას თუ როგორ არის დაყენებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და რეგისტრაციის საქმე. ზუსტად დაიცვას ინსტრუქცია საქმისწარმოების შესახებ;

სისტემატურად მოაწყოს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების კომპლექსური შესწავლა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მეტი ყურადღება დაუთმოს განცხადებებისა და საჩივრების გამომწვევი მიზეზების შესწავლას, მათ ლიკვიდაციას, განსაკუთრებით განმეორებით და კოლექტიურ განცხადებებს. გადაჭრით გააუმჯობესოს კონტროლზე აყვანილ და ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ განცხადებებზე მუშაობა;

სისტემატურად იზრუნოს მოსახლეობაში იურიდიული ცოდნის პროპაგანდის გაძლიერებისა და განსაკუთრებით იმ მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მშრომელთა წერილებზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალოს პერიოდულად შეისწავლოს და კოლეგიის მსჯელობის საგანი ვახდლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის საკითხი.

რესპუბლიკის პროკურატურას რეკომენდაცია მიეცა გააძლიეროს ზედამხედველობა მშრომელთა წერილებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

\* \* \*

ამავე ხსდომაზე შოსმენილ იქნა საკითხი სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ ადიგენისა და თიანეთის რაიონებში. აღინიშნა, რომ ადიგენისა და თიანეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის დადგენილებით, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სახალხო მეურნეობის განვითარების მეთავე ხუთწლიანი გეგმის ვადადე შესრულებისათვის. აღმასრულებელი კომიტეტები საბჭოების, მუდმივი კომისიებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელ საქმიანობას წარმართავენ ისე, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

გარკვეული მუშაობა ჩატარებული ადიგენის რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ღონის და



მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამალგების შესახებ რაიონის სოციალურ-კულტურული განვითარების ზოგიერთ სფეროში შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებების მოთხოვნათა შესასრულებლად.

ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში გაიხსნა კულტურის სახლი, სოფლებში პატარა სმადაში, შოყაში და ქვემო ენთელში — კლუბები. მომავალ წელს გათვალისწინებულია 9 კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემა.

თიანეთის რაიონის სოფლებში — ტუშურებში და დორეულებში საექსპლუატაციოდ გადაეცა კლუბები, სოფელ დულუხაურებში და თევრაანებში — ბიბლიოთეკები და სხვ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისა და მათი გაზრდილი სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. სოფლის კლუბებში იმატა მხატვრული თვითმოქმედების წრეების რაოდენობამ. მოსახლეობაში სისტემატურად ტარდება ლექცია-მოსხენებები, საუბრები, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან.

ადიგენისა და თიანეთის რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მანერ ტრადიციებისა და წესჩვეულებათა აღმოსაფხვრელად.

ამჟამად, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვისთან დაკავშირებით, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილია სპეციალური გამოფენები. თიანეთის რაიონში ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ ჩატარებულია 176 ლექცია-მოსხენება, ხოლო ადიგენის რაიონში — 91.

ამასთან, ადიგენისა და თიანეთის რაიონების სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მუშაობაში გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში იშვიათად ეწყობა ლექცია-მოსხენებები, თვითმოქმედი კოლექტივები ფორმალურად არსებობენ. უმრავლეს სოფლებში არ არის ბიბლიოთეკები. ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლას, ჭეროვნად არ ზრუნავენ მშრომელთა დასვენების ორგანიზაციასა და სპორტული ღონისძიებების ჩატარებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის. ბევრ საკლუბო დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა წრეობრივ მუშაობას.

თიანეთის რაიონში კინოპროექტების გარეშეა დარჩენილი ისეთი დიდი სოფლები, როგორცაა: ორხევი, ღულელები, ზემო ნაქალაქარი, ბოჭორომა და სხვა, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 300-ს აღემატება. ადიგენის რაიონის



52 სოფლიდან რადიოფიცირებული არ არის 36 სოფელი, ხოლო რაიონის 79 სოფლიდან — 60.

ადიგენისა და თიანეთის რაიონებში ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ მიზნისათვის ნაკლებად არის გამოყენებული სასოფლო საბჭოების თვითდაბეგვრის სახსრები და კულტფონდები. კულ ბინებშია მოთავსებული ადიგენის რაიონის სოფლების კახარეთის, ჭელის, სამყურის, აფიეთის, ბენარის, ნაქურდევის, არზნის და ქიქინეთის სასოფლო კლუბები და ბიბლიოთეკები. თიანეთის რაიონის 39 ბიბლიოთეკიდან — 19, ხოლო 20 სასოფლო კლუბიდან — 7 მოთავსებულია დაქირავებულ. შეუფერებელ შენობებში.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკოში თავის სხდომებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას ფორმალურად იხილავს, ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა კადრების მომზადების საქმეში განაპირობებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაკთა უმრავლესობას არა აქვს სპეციალური განათლება. ადიგენის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების 101 მუშაკიდან სპეციალობით არ მუშაობს 78, ხოლო თიანეთის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების 89 მუშაკიდან — 30.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ადიგენის და თიანეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოების კულტურისა და სახალხო განათლების მუდმივი კომისიები სუსტად აკონტროლებენ და არასაკმარის ხელმძღვანელობას უწევენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

ჯერ კიდევ არ ტარდება სათანადო ღონისძიებები ადიგენის რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ღონის და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების შესახებ და თიანეთის რაიონის სოციალურ-კულტურული განვითარების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების მოთხოვნათა განუხრებლად განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

დაავალა ადიგენისა და თიანეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სკკ XXV ყრილობისა და სკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა წარმა-



როთნ ისე, რომ იგი ყოველმხრივ უწყობდეს ხელს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, რისთვისაც:

გადაჭრით გააუმჯობესონ კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობა, მათ საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩააბან ინტელიგენცია, ახალგაზრდობა;

რეგულარულად მოაწყონ მოსახლეობისათვის ლექციები და ჰოსენებები აქტუალურ თემებზე, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოები; იზრუნონ მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობის დონის ამაღლებაზე;

სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, მოსახლეობის კრებებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სოფლის ყრილობებზე სისტემატურად განიხილონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. პრაქტიკაში დანერგონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბჭოების სესიებისა და მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომების ჩატარება აღნიშნულ საკითხებზე;

უფრო აქტიურად ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. პერიოდულად მოაწყონ კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკების თათბირ-სემინარები და შეკრებები გამოცდილების გაზიარების მიზნით;

მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს, სისტემატურად მოაწყონ მოწინავე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების გამოცდილების განზოგადება. ჩაატარონ საწარმოო თათბირები და ინდივიდუალური კონსულტაციები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის ცალკეულ საკითხებზე;

მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი სახსრები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და მათი საჭირო ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

მიიღონ ზომები ორივე რაიონის შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაევალა გაუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისადმი, მეტი ყურადღება მიაქციოს მათთვის კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, იზრუნოს კადრების პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის, ამ დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.



## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიების

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

**საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის** სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ბ. ჯაფარიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1977 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა დ. გელაშვილმა.

\* \* \*

**ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის** სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ა. კავსაძის მოხსენება მუშა-ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ვასაძემ.

\* \* \*

**მრეწველობის კომისიის** სხდომაზე მოსმინეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ო. სულაძის მოხსენება რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობის შესახებ.

\* \* \*

**მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის** სხდომაჲ მოისმინა მისი თავმჯდომარის, დეპუტატ ა. აზიროვის მოხსენება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოების ნედლეულითა და დამხმარე მასალებით მომარაგების მდგომარეობის შესახებ.

\* \* \*

**ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის** სხდომაზე მოსმენილ იქნა მისი წევრის, დეპუტატ ვ. გვარჯალაძის მოხსენება თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელში მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა გ. გაჩეჩილაძემ.







წალკის რაიონიდან . . . . .	3
წულუკიძის „ . . . . .	3
სამხრეთ ოსეთის ა/ო . . . . .	8

\* \* \*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 29 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მადლით დაჯილდოვდა 1093 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან . . . . .	134
„ ორჯონიკიძის „ . . . . .	328
„ ოქტომბრის „ . . . . .	113
„ 26 კომისრის „ . . . . .	80
ქ. ქუთაისიდან . . . . .	43
ქ. ფოთიდან . . . . .	72
ქ. წყალტუბოდან . . . . .	65
ახალციხის რაიონიდან . . . . .	17
ვეგეჟკორის „ . . . . .	8
ზესტაფონის „ . . . . .	94
ლენტეხის „ . . . . .	1
მახარაძის „ . . . . .	14
წალენჯიხის „ . . . . .	24
ცხაკაიას „ . . . . .	32
ჩოხატაურის „ . . . . .	68